23/12/2025

MES 8 25 0001848933

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
სხდომის თარიღი: 09.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:42 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომ შისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
13. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ევროპის უნივერსიტეტი

- ნინო ტალიაშვილი - უნივერსიტეტის რექტორი;
- სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართლებით;
- მარიკა ბოკუჩავა - სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- ნინო მილაშვილი - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (ქართულენოვანი);
- მაია კერესელიძე - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (ქართულენოვანი);
- მაია ბერუაშვილი - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (ინგლისურენოვანი).

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

- ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
- მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
- ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
- თეო ურუშაძე - აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი
- ნატო კობახიძე - პროგრამების ხელმძღვანელი
- დიანა ხომასურიძე - აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის კოორდინატორი
- ანა ბოკუჩავა - სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი
- სოფიკო ფიცხელაური - სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

- ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
- მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
- ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
- ამირან ამბროლაძე - მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის MACS[E] დეკანი
- შოთა ღვინეფაძე - მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის MACS[E] ასოცირებული დეკანი / პროგრამის ხელმძღვანელი
- ნატალია ხუბაშვილი - მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის MACS[E] კოორდინატორი

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ნატო გენგიური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნანა დოლიძე - დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მაია ლევანიძე - კინოტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- დავით ცინცაძე - პროგრამის ხელმძღვანელი (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი).

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- მაია ჭიჭილეიშვილი - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აკრედიტაციის ექსპერტები

გასპარ ფრანცისკო როს ბერუზო (Gaspar Francisco Ros Berruezo) (I და II საკითხი)
გიორგი მელაშვილი (I და II საკითხი)
თეა ოშხერელი (I და II საკითხი)
ია ნაცვლიშვილი (I და II საკითხი)
ანჟელა აბულაძე (I და II საკითხი)
ალა ალექსანიანი (Alla Aleksanyan) (III საკითხი)
ნატო სულთანიშვილი (III საკითხი)
ინგა დიასამიძე (III საკითხი)
ქრისტინე ჩიხლაძე (III საკითხი)

ანა მიხელიძე (III საკითხი)
სოკრატის კათსიკას (Sokratis Katsikas) (IV საკითხი)
პაპუნა ქარჩავა (IV საკითხი)
მარინე ხიზანიშვილი (IV საკითხი)
გიგა ხოსიტაშვილი (IV საკითხი)
თამარ ხუციშვილი (IV საკითხი)
თამარ ჩხეიძე (V და VI საკითხი)
ელა ასათიანი (VII და VIII საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო, ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
10. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
11. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
12. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
13. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "საპორტო ოპერაციების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
14. შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილების განხილვა.

საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია I და II საკითხების ერთობლივი განხილვა, ვინაიდან ორივე საკითხი შპს ევროპის უნივერსიტეტის ერთი და იმავე დარგის პროგრამებს შეეხებოდა და ორივე საკითხი შეაფასა ექსპერტთა ჯგუფის იდენტურმა შემადგენლობამ.

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

პროგრამა 1
პროგრამის დასახელება: ვეტერინარია;
საფეხური: ინტეგრირებული სამაგისტრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის მაგისტრი (MVM);
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ვეტერინარია - 0841;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 300;
სტატუსი: ახალი;

პროგრამა 2
პროგრამის დასახელება: ვეტერინარია;
საფეხური: ინტეგრირებული სამაგისტრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის მაგისტრი (MVM);
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ვეტერინარია - 0841;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 300;
სტატუსი: აკრედიტებული;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
საერთაშორისო ექსპერტმა, გასპარ ფრანცისკო როს ბერუზომ აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამებზე განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის საფუძველზე ჯგუფმა არ გამოკვეთა სარეკომენდაციო საკითხები და მოიწონა პროგრამების ხარისხის განვითარება. ყველა გარემობა არის ასახული დასკვნაში. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამების განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები
უნივერსიტეტის რექტორმა, ნინო ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით დასვა კითხა. მას აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა პროგრამის განხორციელება ქირურგიული პათოლოგიური ანატომიისა და სხვა კლინიკური დისციპლინების სიმულაციური ოთახების გარეშე. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობასთან დაკავშირებით იკითხა, საკმარისია თუ არა სათანადო სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციებით აღჭურვილი პერსონალი.
ექსპერტმა, გიორგი მელაშვილმა უპასუხა, რომ პროგრამაზე ბევრი აფილირებული პროფესორია, თუმცა ბევრად მეტია სტუდენტების რაოდენობა და, ამგვარად, შეიძლება შეიქმნას პროპორციულობის პრობლემა. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ინსტიტუციებთან, რომლის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ გასწიონ ხელმძღვანელობა.
პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად მოიაზრება 26 პერსონალი, რომლებიც წარმოადგენენ დარგის პროფესიონალ პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს. ამ მიმართულებით პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, მაგისტრანტთა ახალი უნარების განვითარება უნივერსიტეტის ინტერესებშია და რეგულაციები ამას არ ზღუდავს.
პირველ კითხვასთან დაკავშირებით გასპარ ფრანცისკო როს ბერუზომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი იყო მოცემული რჩევად. ოთახები მომავალში გაზრდის სწავლების ხარისხს, თუმცა ამჟამად პროგრამას შეუძლია არსებობა ამ სიმულაციური ოთახების გარეშეც.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ტალიაშვილმა დააზუსტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ეს ოთახები, თუმცა ძირითადად მანიპულაციები ხორციელდება მულაჟებსა და მანეკენებეზე. რჩევაში საუბარი იყო ცოცხალ ცხოველებზე. ამ ეტაპზე ეს აღჭურვილობა საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო ხუნდაძემ განმარტა, რომ თვითშეფასების ანაგარიშში მოცემულია პერსონალიდან რამდენს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. ორივე პროგრამის შემთხვევაში ჯამში 27 ადამიანია. ხელმძღვანელისთვის წაყენებული მოთხოვნები უნივერსიტეტში დარგობრივი მახასიათებლითა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით არის განსაზღვრული და დათვლილია 10 და 17 პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში არ არის შეზღუდვა პარტნიორი ინსტიტუციის წარმომადგენლის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელობაზე და ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორმხრივი სურვილი და კანდიდატი აკმაყოფილებს დარგობრივი მახასიათებლებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წესში განსაზღვრულია პერსონალის მაქსიმალური სახელმძღვანელო დატვირთვა და ამის გათვალისწინებით ხდება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ანალიზიც. ამჟამინდელი გათვლებით უნივერსიტეტს თავისი რესურსით შეუძლია ხელმძღვანელისა და სტუდენტის დადგენილი პროპორციის დაცვა, თუმცა შესაძლებელია გარე ხელძღვანელების მოწვევაც. სიმილაციური ოთახები გამოიყენება არამარტო სწავლებისთვის, არამედ “OSCE”-ის გამოცდებისთვის, პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარებისთვის. სიმულაციური ოთახები საკმაოდ აღწურვილია და ექსპერტთა მხრიდან საკითხის რჩევაში მოქცევა ადასტურებს იმას, რომ სწავლის შედეგების მიღწევას ამ კუთხით არანაირი საფრთხე არ ემუქრება. პროგრამაში გათვალისწინებულია ორი სერიოზული პრაქტიკული ელემენტი პრაქტიკის ობიექტებზე გასვლით, სადაც ცოცხალ ცხოველებთან აქვთ შეხება, რითიც პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტს ასევე დაწყებული აქვს ფერმის მშენებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:31
დასრულების დრო: 14:45

პროგრამა 1:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვან ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

პროგრამა 2:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინგლისურენოვან ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 09 დეკემბრამდე.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო, ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

პროგრამა 1
პროგრამის დასახელება: ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატყეო საქმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სატყეო საქმე - 0821;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა 2
პროგრამის დასახელება: ლანდშაფტის მენეჯმენტი და სატყეო საქმე
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატყეო საქმის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სატყეო საქმე - 0821;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა 3
პროგრამის დასახელება: ლანდშაფტის მენეჯმენტი და სატყეო საქმე
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატყეო საქმის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სატყეო საქმე - 0821;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 40;
სტატუსი: აკრედიტებული;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.

საერთაშორისო ექსპერტმა, ალა ალექსანიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა სასწავლო პროგრამით და გაცემული რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ერთადერთი, შესამჩნევი იყო აპლიკანტ სტუდენტთა მცირე რაოდენობა, რისი მიზეზიც სავარაუდოდ მიღების მკაცრი პირობებია, თუმცა ჯგუფი თვლის, რომ სტუდენტთა რაოდენობაზე მნიშვნელოვანი, მათი ხარისხია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის წარმომადგენლებს არ გაუკეთებიათ კომენტარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:51
დასრულების დრო: 15:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
პროგრამა1:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

პროგრამა2:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

პროგრამა3:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

მეოთხე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

პროგრამა
პროგრამის დასახელება: ,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი - 0613;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ გარემოში და ჯგუფს არ გაუცია რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ანკა თაბუკაშვილმა დააზუსტა, რომ რჩევა არ გაცემულა არც დასკვნის პროექტში და არც დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა დასვა კითხვა პირველ სწავლის შედეგში გამოყენებული ზმნების რაოდენობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, უცხოელი ექსპერტები ყოველთვის უსვამენ ხაზს ზმნების გონივრული რაოდენობის მნიშვნელობას და ბევრი გამოყენებული ზმნის შემთხვეაში, გასცემენ რეკომენდაციას სწავლის შედეგის დაყოფასთან დაკავშირებით. ასევე, მეორე შედეგში „იცის“ არ წარმოადგენს ბლუმის ტაქსონომიის ზმნას. მას აინტერესებდა, დაწესებულებისა და ექსპერტების მოსაზრება ამ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, კურიკულუმის რუკაში სფეროს არჩევითი საგნები გადის მეოთხე დონეზე და ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ არჩევითი საგნები გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა უპასუხა, რომ უცხოელ ექსპერტს არ გამოუთქვამს ზმნების რაოდენობასთან დაკავშირებით მსგავსი მოსაზრება და, შესაბამისად, არ გაცემულა ხსენებული რეკომენდაცია. სწავლის შედეგები არსებული ფორმით დამაკმაყოფილებელი იყო.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ პირველი სწავლის შედეგი მიეკუთვნება საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულს, რომელიც მოიცავს 53 კრედიტს და ფარავს 14 საგანს. ეს მოდული ისწავლება უნივერსიტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაზე და აღნიშნული სწავლის შედეგი ყველგან მითითებულია

იდენტურად. ეს არ არის დარგისთვის სპეციფიური სწავლის შედეგი, არამედ არის ზოგადი განათლების ტიპის და ამ ფორმულირებით არაერთი აკრედიტაცია გაუვლიათ პროგრამებს და არ დამდგარა შედეგის მიღწევის გაზომვის პრობლემა. კურიკულუმის რუკაში ზოგადად უნივერსიტეტს არ შეყავს არჩევითი და სავალდებულო-არჩევითი კურსები, რადგან ისინი არ მონაწილეობენ სწავლის შედეგებში. კურიკულუმში მონიშნულია სავალდებულო კურსები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ეყრდნობა მას. რაც შეეხება I, II, II, IV დონეებს, ეს არის უნივერსიტეტის შიდა სისტემა, რომელიც ასახავს სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას. დონეების აღწერილობა მოცემულია დოკუმენტში. რუკით გარე ექსპერტებისთვის ნათელი ხდება პროგრამის სტრუქტურით სწავლის შედეგების მიღწევის საკითხი და ასევე, დოკუმენტი ძირითადად არის შიდა მოხმარების და იძლევა საერთო სურათს ყველა პროგრამის ფარგლებში. სწორედ ამიტომ არის ჩადებული სავალდებულო-არჩევითი საგნები.
საბჭოს წერმა, ქეთევან ნანობაშვილმა იკითხა, ხომ არ თვლის უნივერსიტეტი, რომ ეს შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს მკითხველისთვის.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ უპასუხა, რომ რუკა არ იყო დამაბნეველი ექსპერტებისთვის და კითხვის ავტორმაც განმარტების შემდეგ გაიგო მისი პრინციპი. ქეთევან ნანობაშვილმა ასევე იკითხა, რომელ სილაბუსში მოიაზრება დარგობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ეთიკის საკითხების სწავლება. ასევე, რომელი საგნებით გავა მონაცემთა მეცნიერება მეოთხე დონეზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, შოთა გვინეფაძემ უპასუხა, რომ მონაცენმთა მეცნიერებას ფარავს რამდენიმე საგანი, მათ შორის, „მონაცემთა ბაზები“ და „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“, ხოლო ეთიკაზე გადის „კომპიუტერული მეცნიერება და საზოგადოება“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 9 დეკემბრამდე.

საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია V და VI საკითხების ერთობლივი განხილვა, ვინაიდან ორივე საკითხი შეეხებოდა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებს და ორივე პროგრამა შეაფასა ერთმა აკრედიტაციის ექსპერტმა.

5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, წარმოედგინა თავისი პოზიცია.
ექსპერტმა, ელენე ასათიანმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია უნივერსიტეტს აქვს შესრულებული და ასევე გაითვალისწინა რჩევების ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნატო გენგიურმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, წარმოედგინა თავისი პოზიცია.
ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ ზოგადად მიმოიხილა დასკვნაში აღწერილი გარემოებები და აღნიშნა, რომ პროგრამას ქონდა 2 ინდივიდუალური და 17 კლასტერული რეკომენდაცია. ერთადერთი აუცილებლად გასათვალისწინებელია რჩევა მსოფლიო ფოლკლორის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანა დოლიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და რჩევები შეძლებისდაგვარად. ქართული და მსოფლიო ფოლკლორის შესახებ რჩევა ანგარიშის წარდგენისას ჯერ არ იყო შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ცინცაძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ უპირატესობა მიანიჭა დარგობრივ ცოდნას, ვიდრე მსოფლიო მრავალხმიანობას, რადგან ერთ სემესტრში მისი ათვისება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა.
თამარ ჩხეიძემ დაამატა, რომ პოლიფონიის საკითხების სწავლება არ არის პრაქტიკასთან კავშირში, არამედ თეორიულია და სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ეს რჩევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:12
დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, წარმოედგინა თავისი პოზიცია.

ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან მოწესრიგებული დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი და ყველა რეკომენდაცია შესრულებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია ჭიჭილეიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 16:32

დასრულებისდრო: 16:34

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია IX და X საკითხების ერთობლივი განხილვა, ვინაიდან ორივე საკითხი შეეხებოდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებისთვის აკრედიტაციის ვადის გახანგრძლივებას.

მეცხრე და მეათე საკითხები:
9. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
10. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „აგრონომიისა“ და „ინფორმატიკის“ საგანმანათლებლო პროგრამებს 2025 წლის 31 დეკემბერს გასდის აკრედიტაციის ვადა და პროგრამები ამჟამად მიმდინარეობენ მილევად რეჟიმში. ასევე, აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 1 აქტიური სტუდენტი (V სემესტრი), ხოლო „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 აქტიური სტუდენტი (ორივე V სემესტრში). ასევე, მისი თქმით, მიმდინარე შემოდგომის სემესტრი სრულდება 2026 წლის 6 მარტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა „აგრონომიისა“ და „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში მიმდინარე სემესტრის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი

კენჭისყრა:
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 6 მარტის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრა:

მომხრე-12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 6 მარტის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია XI, XII და XIII საკითხების ერთობლივი განხილვა, ვინაიდან სამივე საკითხი შეეხებოდა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროგრამებისთვის აკრედიტაციის ვადის გახანგრძლივებას.

მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საკითხები:

11. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
12. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
13. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის “საპორტო ოპერაციების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საკითხების ზეპირი განხილვა

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შუამდგომლობით მიმართა აკრედიტაციის საბჭოს, რომ „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო, „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო და “საპორტო ოპერაციების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდეთ შემოდგომის სემესტრის დასასრულამდე - 2026 წლის 1 მარტამდე, რათა უნივერსიტეტმა მოახდინოს სტუდენტების რეაკრედიტირებულ პროგრამებზე გადაყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულმა პროგრამებმა გაიარა რეკრედიტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. შესაბამისად, პროგრამები უზწყეტად ხორციელდება და სტუდენტებმა უნდა გააგრძელონ სწავლა ამავე პროგრამაზე. კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ გამონაკლისებს, როდესაც, პროგრამა უქმდება და მასზე ირიცხებიან აქტიური სტუდენტები, სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, ეძლევათ უფლება, პროგრამაზე სწავლა დაასრულონ მიმდინარე სემესტრის ბოლომდე.
რაც შეეხება სტუდენტებისათვის ინდიციდუალური სასწავლო გეგმის პირობებში სწავლების დასრულების საკითხს, საბჭო არ არის უფლებამოსილი დაარეგულიროს მსგავსი საკითხები და ურჩია უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ ეს საკითხი მოაგვარონ შიდა რეგულაციების საშუალებით, რომელიც, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, არსებობს მათ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე-0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უარი ეთქვას სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი;

კენჭისყრა:
მომხრე-0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უარი ეთქვას სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას „საზღვაო

ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის “საპორტო ოპერაციების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრა:
მომხრე-0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უარი ეთქვას სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას “საპორტო ოპერაციების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებაზე.

მეთოთხმეტე საკითხი: შპს უნივერსიტეტ გეომედის “ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილების განხილვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეთოთხმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა

შპს „უნივერსიტეტ გეომედმა“ წერილით მიმართა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და აცნობა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472262 გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა ცვლილება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი“.
რეკომენდაციის შესაბამისად („საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდეს შესაბამისობაში“), პროგრამის სახელწოდება შეიცვალა და ეწოდა „ჯანდაცვის მენეჯმენტი“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შენარჩუნდა როგორც „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“.
ზემოაღნიშნული ცვლილებით სრულად შესრულდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია და პროგრამის სახელწოდება მოვიდა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. უნივერსიტეტმა დააყენა შუამდგომლობა, რომ 2025 წლის 28 თებერვლის №472262 გადაწყვეტილებასა და მის დანართში პროგრამის სახელი განისაზღვროს როგორც: „ჯანდაცვის მენეჯმენტი“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილების საკითხი და პროგრამის სახელწოდება ფორმულირდეს შემდეგის სახით: „ჯანდაცვის მენეჯმენტი".

კენჭისყრა:
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება „შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის N472262 გადაწყვეტილებასა და მის „დანართ 1"-ში. პროგრამის სახელწოდება ფორმულირდეს შემდეგის სახით: „ჯანდაცვის მენეჯმენტი".

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 9 დეკემბრის 17:42 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე